თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №15**

23 მარტი 2018 წ.

ქ. თელავი

**თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნიკოლოზ რინკიაშვილისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის**

**შ ე ს ა ხ ე ბ**

„მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის, განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა თელავის მუნიციპალიტეტის მერს, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით, ყოველწლიური საიჯარო ქირით 2 000 (ორიათასი) ლარის ოდენობით გადასცეს ნიკოლოზ რინკიაშვილს (პ/ნ 20001015690) ქ. თელავში, ალაზნის გამზ. №34ა-ში მდებარე შენობაში არსებული 99.46 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი (საკადასტრო კოდი: 53.20.32.167).
2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის №41).

საკრებულოს თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე